# რიცხვებით მანიპულაცია

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი

ნონა ჩუბინიძე

http://linda6035.ucoz.ru/

# გაკვეთილის მიზანი

- მოსწავლე შეძლოს იპოვოს საჭირო მონაცემები ინტერნეტიდან, გამოიყენოს ისინი ამოცანის/პრობლემის გადაჭრისათვის და დაასაბუთოს თავისი არჩევანი.
- განუვითარდეს არითმეტიკული მოქმედებების შესრულების ტექნიკა (რიცხვის პროცენტის პოვნა, შედარება, შეკრება-გამოკლება)
- შეძლოს კრიტიკულად შეხედოს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მას ეწოდება რაიმე ტიპის მედიარესურსით, მოახდინოს მონაცემთა კლასიფიკაცია, რაც დაეხმარება მას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში

http://linda6035.ucoz.ru/

# მედიაწიგნიერების მიზნები

| | |
|---|---|
| მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი | სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება |

http://linda6035.ucoz.ru/

# ლექსიკონი

| | |
|---|---|
| მანიპულაცია | • რთული მოქმედება 2. გადატ. ეშმაკობა, ოინი, ყალთაბანდობა |
| განვადება | • რაიმეს ვადის გაგრძელება; რამდენიმე ვადაზე განაწილება |
| ფასნამატი | •საწყის ფასზე რაიმე მიზნით დამატებული თანხა |
| ბანკის მომსახურების გადასახადი | • გადასახადი, რომელსაც აწესებენ ბანკები მომსახურეობისათვის |

http://linda6035.ucoz.ru/

# კ ი თ ხ ვ ე ბ ი

რა არის რიცხვის პროცენტი?

როგორ იანგარიშება პროცენტი?

ცხოვრებაში ჩვეულებრივი საუბრებისას თუ გაგიგიათ სიტყვა პროცენტი და რა შემთხვევაში

ტელევიზიიდან ან რეკლამებიდან თუ გაგიგიათ სიტყვა პროცენტი და რა შემთხვევები გახსენდებათ?

თქვენი აზრით შესაძლებელია თუ არა ტელევიზიით და ინტერნეტში მოთავსებულ ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, მასში ეჭვის შეტანა?

http://linda6035.ucoz.ru/

# რას ნიშნავს მაღაზიის ვიტრინებზე ეს წარწერები?

http://linda8035.ucoz.ru/

## მსჯელობა

**რა არის განვადება**

**რატომაა მოსახერხებელი განვადება**

**როგორ ესმით გამონათქვამი: „უპროცენტო განვადება“**

http://linda6035.ucoz.ru/

# ერთ-ერთი ინტერნეტმაღაზიის გვერდი

http://linda6035.ucoz.ru/

# ჯგუფური მუშაობა

**დავალება: შევიდნენ აღნიშნულ ბმულზე, მოძებნონ განცხადება სადაც მომხმარებელს სთავაზობენ რაიმე ნივთს უპროცენტო განვადებით, გადავიდნენ შემდეგ მომდევნო საჭირო ბმულებზე და გაარკვიონ რა თანხის გადახდა უწევს მომხმარებელს ნივთში, რომელსაც უპროცენტო განვადებით შეიძენს და საწყისი ღირებულების რამდენი %-ია დამატებით გადასახდილი თანხა.**

## ჯგუფებს ურიგდებათ შემდეგი ცხრილები შესავსებად:

| ნივთის დასახელება | ნივთის ფასი განვადების გარეშე | ნივთის ფასი განვადებით | ბანკის მომსახურეობის თანხა | ზედმეტად გადასახდელი თანხა | საწყისი ღირებულების რამდენი %-ია ზედმეტად გადახდილი თანხა? |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

http://linda6035.ucoz.ru/

# განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკის მსესხებლის ასაკი 20-დან 70 წლამდეა. მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა 36 თვეა, ხოლო შესაძენი ნივთის ღირებულება - 100 დან 5,000 ლარამდეა. მინიმალური თანამონაწილეობა 0%-ია. მაგალითისთვის, ისარგებლეთ 6 თვიანი უპროცენტო განვადებით და პროდუქციის ღირებულების ქვედა ზღვარით, რომელსაც ლიბერთი ბანკი აწესებს, და ჩვენს მაღაზიაში BEURER-ის გამათბობელი თეთრეული შეიძინეთ. პროდუქციის ღირებულება 103 ლარია.

*ლიბერთი ბანკის განვადება*

ლიბერთი ბანკის განვადებით სარგებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი გაქვთ, ღებულობთ იჯარას, ან სახელმწიფო პენსიას (მინიმალური პენსიის რაოდენობა 80 ლარი, ხოლო სხვა შემოსავალი 100 ლარზე მეტი უნდა იყოს), გაქვთ დამატებითი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობიდან, ან ლიბერთი ბანკის ანგარიშზე გერიცხებათ გზავნილი.

http://linda6035.ucoz.ru/

# გამათბობელ თეთრეულზე დაწკაპუნებით გადავდივართ შემდეგ ბმულზე

**103 ლარი შეიცვალა 180 ლარით!**

http://linda6035.ucoz.ru/

# „განვადებით ყიდვას“ თუ დავაწკაპუნებთ გადავალთ შემდეგ ბმულზე




**180 ლარის ნაცვლად გადასახდელია 188 ლარი!**

http://linda6035.ucoz.ru/

# თუ შეკვეთას დავადასტურებთ, ბანკი მოითხოვს დამატებით 20 ლარის გადახდას (ამ შემთხვევაში) ბანკის მომსახურეობისათვის

## ჩვენი ცხრილი მიიღებს შემდეგ სახეს

| ნივთის დასახელება | ნივთის ფასი განვადების გარეშე | ნივთის ფასი განვადებით | ბანკის მომსახურეობის თანხა | ზედმეტად გადასახდელი თანხა | რამდენი %-ია ზედმეტად გადახდილი თანხა საწყისი ღირებულების? |
|---|---|---|---|---|---|
| გამათბობელი თეთრეული | 180 ლარი | 188 ლარი | 20 ლარი | 28 ლარი | $\frac{28}{180} \cdot 100 \approx 15\%$ |

**აღსანიშნავია, რომ ამ ნივთს პირველ გვერდზე არა 180, არამედ 103 ლარად გვთავაზობდნენ**

http://linda6035.ucoz.ru/

# შედეგი (რიცხვებში)

1. 103 ლარიანი ნივთი სინამდვილეში 180 ლარიანი აღმოჩნდა
2. 180 ლარის ნაცვლად „უპროცენტო განვადებით“ ვიხდით 208 ლარს. ანუ ≈ 15%-ით მეტს
3. ქვეყანაში, სადაც სესხის საპროცენტო განაკვეთი 9-დან 15 %-მდეა, ნივთები „უპროცენტო განვადებით“ 12-16%-იანი ფასნამატით იყიდება

http://linda6035.ucoz.ru/

# რატომ იყიდება ასეთი პირობებით ნივთები?

8 ლარი იმდენად მცირე თანხაა, რომ არავინ ფიქრობი იმაზე, რომ იგი ღირებულების 4%-ია

ბანკის მომსახურების 20 ლარი რადგან ერთჯერადი გადასახადია, ადამიანთა უმრავლესობას უჭირს გააზრება, რომ ეს 20 ლარიც სინამდვილეში ნივთის ღირებულებაა და ზრდის მას.

მომხმარებელთა უმრავლესობას ხიბლავს სიტყვა უპროცენტო.

იმის ნაცვლად რომ მომხმარებელს შესთავაზონ 15%-იანი განვადება მას ამ 15% სხვა სახელით ახდევინებენ (ფასნამატი და ბანკის მომსახურეობის თანხა. და არამც და არამც პროცენტი)

ასე მიწოდებული პროდუქტი კი გაცილებით მარტივად და ხშირად იყიდება. კმაყოფილია გამყიდველი და არამედიაწიგნიერი მყიდველიც. თუმცა ყველა მედიაწიგნიერმა ადამიანმა იცის, რომ ეს მხოლოდ ფარსია და საჭიროა დამატებითი მასალის მოძიება, რათა მივიღოთ ჩვენთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება და არ გავხდეთ არაკეთილსინდისიერი ადამიანების მსხვერპლი.

http://linda6035.ucoz.ru/

# შეფასების მახასიათებლები

- შეუძლია თუ არა ინტერნეტიდან ზუსტად საჭირო ინფორმაციის ამოღება
- შეუძლია თუ არა მითითებული ბმულიდან წავიგაცია საჭირო ინფორმაციის მისაღებად?
- შეუძლია თუ არა არითმეტიკული მოქმედებების შესრულება (პროცენტის პოვნა, შედარება, შეკრება-გამოკლება)
- შეუძლია თუ არა მიღებული მონაცემების კლასიფიკაცია
- შეუძლია თუ არა ფაქტიდან სიწამდვილის გამიჯვნა და სწორი დასკვნების შემუშავება
- შეუძლია თუ არა მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სიწამდვილის რეპრეზენტაცია

http://linda6035.ucoz.ru/

# გმადლობთ ყურადღებისათვის


## ნონა ჩუბინიძე

ტელ: 577 27 75 14

ელ ფოსტა: nonachubinidze@gmail.com

ბლოგი: nonachubinidze@blogspot.ge


სლაიდების აწყობისას გამოყენებულია ქალბატონი

რუსა გონაშვილის მიერ შექმნილი ფონი

http://linda6035.ucoz.ru/

# ინტერნეტრესურსები:

Скрепка http://img-fotki.yandex.ru/get/6610/134091466.1c/0_8f975_cc74afe5_S

Линейка http://s1.pic4you.ru/allimage/y2012/08-20/12216/2356155.png

Циркуль http://img-fotki.yandex.ru/get/6619/108950446.113/0_cd1e9_394b9c86_S

Сова http://img-fotki.yandex.ru/get/6419/108950446.114/0_cd212_c7ac5fee_S

Листья http://img-fotki.yandex.ru/get/6623/108950446.115/0_cd23c_44b148c7_S

http://linda6035.ucoz.ru/

# მონაცემთა მახასიათებლები, სტატისტიკური მონაცემები

ინეზა გაბადაძე - სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

http://linda6035.ucoz.ru/

# გაკვეთილის მიზანი

- შედეგების დამუშავებისათვის მონაცემების სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის უნარი
- მონაცემების დამუშავების უნარი
- რელევანტური დასკვნების გაკეთების უნარი

http://linda8035.uccz.ru/

# კავშირი ესგ-სთან

| | | | |
|---|---|---|---|
| აჯგუფებს რაოდენობრივ მონაცემებს ინტერვალთა კლასებში და აგებს<br>შესაბამის ცხრილს / ჰისტოგრამას (მათ შორის , ტექნოლოგიების<br>გამოყენებით) | არჩევს დაუჯგუფებელ რაოდენობრივ მონაცემთა წარმოდგენის შესაფერის<br>გრაფიკულ ფორმას, ასაბუთებს<br>არჩევანს და ქმნის ცხრილს / დიაგრამას (ტექნოლოგიების გამოყენებით ან მის გარეშე ) | ერთი გრაფიკული ფორმით წარმოდგენილ მონაცემებს წარმოადგენს განსხვავებული<br>გრაფიკული ფორმით და წარმოაჩენს<br>თითოეული ფორმის ხელსაყრელ და არახელსაყრელ მხარეებს | იყენებს გრაფიკული ფორმით წარმოდგენილ მონაცემებს<br>სტატისტიკური შინაარსის მოსაზრებათა/არგუმენტების<br>ჩამოსაყალიბებლად ან შესაფასებლად |

http://linda8035.ucoz.ru/

# მედიაწიგნიერების მიზნები

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა

http://linda6035.ucoz.ru/

# ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

| | |
|---|---|
| რეპრეზენტაცია | • იდეა, აზრი, სენსორული ან შეფასებითი ინფორმაციის წარმოდგენა. |
| იდენტიფიცირება | • გაიგივება, გათანაბრება |
| მანიპულაცია | • გადატ. ოინი, ყალთაბანდობა |

http://linda6035.ucoz.ru/

# კითხვები:

მონაცემთა გამოსახვის რა საშუალებები ვიცით?

რა წესი გამოიყენება მონაცემთა ინტერვალებად დაყოფისა და სიხშირეთა ცხრილის შესადგენად?

როგორ გამოითვლება მონაცემთა საშუალო?

რა მახასიათებლებს ვიყენებთ რიცხვითი მონაცემების შესაფასებლად?

http://linda8035.uccz.ru/

# როგორ აღიქვამთ ამ ინფორმაციას?

http://linda6035.ucoz.ru/

# ვირტუალური სკოლის ხელფასის ცხრილი

**სკოლის მასწავლებელთა ხელფასების ცხრილი**

| N | ხელფასი ლარში | N | ხელფასი ლარში | N | ხელფასი ლარში |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 490 | 20 | 416 | 39 | 51 |
| 2 | 400 | 21 | 261 | 40 | 106 |
| 3 | 489 | 22 | 144 | 41 | 543 |
| 4 | 516 | 23 | 293 | 42 | 543 |
| 5 | 489 | 24 | 489 | 43 | 543 |
| 6 | 462 | 25 | 213 | 44 | 569 |
| 7 | 180 | 26 | 133 | 45 | 569 |
| 8 | 261 | 27 | 400 | 46 | 239 |
| 9 | 990 | 28 | 427 | 47 | 269 |
| 10 | 186 | 29 | 106 | 48 | 269 |
| 11 | 374 | 30 | 481 | 49 | 269 |
| 12 | 355 | 31 | 409 | 50 | 220 |
| 13 | 409 | 32 | 216 | 51 | 239 |
| 14 | 213 | 33 | 120 | 52 | 149 |
| 15 | 320 | 34 | 320 | 53 | 106 |
| 16 | 244 | 35 | 516 | 54 | 106 |
| 17 | 400 | 36 | 516 | 55 | 293 |
| 18 | 614 | 37 | 282 | 56 | 206 |
| 19 | 569 | 38 | 320 | 57 | 258 |
| | | | | 58 | 106 |

http://linda6035.ucoz.ru/

# საგაზეთო სტატია

## პენსია 180, მასწავლებლის საშუალო ხელფასი კი 600-700 ლარი ხდება

### მთავრობის ინიციატივით, მოძავე წელს დევნილთა დაფინანსებაც გაიზრდება

„ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 მილიარდ ლარზე მეტი. 2012 წელთან შედარებით 2016 წელს 55%-ით იზრდება გაზრდილი განათლების სისტემის ბიუჯეტი. განსაკუთრებით მინდა შევეხო მასწავლებლების ხელფასის საკითხს. 2015 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა პედაგოგთა ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი და საბაზო ხელფასი გაიზარდა 405 ლარამდე. საშუალო ხელფასი 2016 წლისათვის, 2012 წელთან შედარებით, ჯამში გაიზრდება 70 პროცენტით. ასევე გაიზარდა მუცნიერთა ხელფასები", — განაცხადა პრემიერმა.

აღსანიშნავ თემის მთავრობის სხდომაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, თამარ სანიკიძეც მეუბნა. მისი ვარაუდით, 2016 წლის აპრილში მასწავლებლის საშუალო ხელფასი დაახ 600-700 ლარი იქნება. ეს ინფორმაციის, ჯანდაცვის მუშაკებ ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი მობილიზებული იქნება განათლებაზე.

რეფორმა ინიციატორმა აღნიშნა, 2016 წლის 1 აპრილიდან პედაგოგების ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი დაიწყო და გახდება 480 ლარი, ეს გაგრძელდები ეტაპობრივად განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტი [illegible] 2020 წ. [illegible] წელთან შედარებით 60%-იანი ზრდა არის საბაზო ხელფასის.

„არ დაგავიწყდეს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა ფერო მეტად ზრდის ალბათ სამუშაო ხელფასს. მასწავლებლის საშუალო ხელფასი ეკვე 2016 წლის აპრილში გადაქცეულია 600-700 ლარად", — აღნიშნა სანიკიძემ.

პრემიერი დაინტერესდა, რამდენი იყო საშუალო ხელფასი, რაზეც სანიკიძემ უპასუხა, რომ საშუალო ხელფასი 400-დან 500 ლარამდე იყო. რეფორმის სანიკიძემ აღნიშნა, 2017 წელს კიდევ პრის მასწავლებლის ხელფასის ზრდა დაგეგმილი, რომელიც საბიუჯეტო ჯამში საკანონმდებლოში არსებულ საშუალო ხელფასს გაუტოლდება მასწავლებლის ხელფასსაც.

პრემიერ-მინისტრმა მეცნიერების ხელფასებზეც ისაუბრა. მისი აღნიშნა, ხელფასებიდან ინფლაციის ზემოქმედი, ადგილზე 100-200 ლარი და გაიზარდა 200-300%-ით. ამ ოქმის საჭირო ინფორმაციას აღნიშნა, რომ, ეროვნული დაბრუნებულებმა საშუალო ხელფასი არის 600-700 ლარი, ადრე კი 150-200 ლარი იყო.

ინფორმაცია, საერთაშორისო ექსპერტებს, მასწავლებლების ხელფასები და შენარჩუნებულ [illegible] ხელფასებსა და [illegible] [illegible]

http://linda6035.ucoz.ru/

[0; 100) და [100; 200) ინტერვალში

[800; 900) და [900; 1000] ინტერვალში

[200; 300) და [300; 400) ინტერვალში

დათვალონ მონაცემები მითითებულ ინტერვალებში, გამოთვალონ ფარდობითი სიხშირეები და ააგონ ჰისტოგრამა

[600; 700) და [700; 800) ინტერვალში

[400; 500) და [500; 600) ინტერვალში

http://linda8035.uccz.ru/

## შევსებული ცხრილის წიმუში

| ინტერვალი | სიხშირე | ფარდობითი სიხშირე % |
|---|---|---|
| [0; 100) | 1 | 1,7 |
| [100; 200) | 11 | 19 |
| [200; 300) | 17 | 29,3 |
| [300; 400) | 5 | 8,6 |
| [400; 500) | 13 | 22,4 |
| [500; 600) | 9 | 15,5 |
| [600; 700) | 1 | 1,7 |
| [700; 800) | 0 | 0 |
| [800; 900) | 0 | 0 |
| [900; 1000] | 1 | 1,7 |

http://linda6035.ucoz.ru/

მონაცემების მიხედვით ჰისტოგრამას ექნება შემდეგი სახე:




http://linda6035.ucoz.ru/

# მოდა, მედიანა,საშუალო და დიაპაზონი

საშუალო $\frac{19676}{58} = 339$

339-ზე მეტი $\frac{26}{58} \cdot 100 = 44{,}8\%$

339-ზე ნაკლები $\frac{32}{58} \cdot 100 = 55{,}2\%$

მოდა 106

მედიანა $\frac{293+320}{2} = 306{,}5$

დიაპაზონი $999 - 51 = 948$

http://linda6035.uccz.ru/

# წრიული დიაგრამა




http://linda6035.ucoz.ru/

## რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს:

- ააგონ მონაცემების მიხედვით რომელიმე სახის დიაგრამა
- გამოთვალონ მოდა, მედიანა, საშუალო და დიაპაზონი
- სიმართლის რეპრეზენტირება
- მედიარესურსით (ვიდეო, საგაზეთო სტატია) მიწოდებული ინფორმაციის ანალიზი (განსხვავებებისა და მსგავსების პოვნა)
- კრიტიკული ანალიზი
- საბოლოო დასკვნის გაკეთება და არჩევანის დასაბუთება არგუმენტებით

http://linda8035.uccz.ru/

# გმადლობთ ყურადღებისათვის

ინეზა გაბადაძე

ტელ: 591 81 20 04

ელ.ფოსტა: gabadadzeineza@gmail.com

სლაიდების აწყობისას გამოყენებულია ქალბატონი
რუსა გონაშვილის მიერ შექმნილი ფონი

http://linda6035.ucoz.ru/


ტრანსპორტირების
უსაფრთხოების ადვოკატირება
ნანა სვანიძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო
სკოლის ფიზიკის მასწავლებელი
distance (km)
time (hour)
12
8
4
0
0.4
0.8
1.2
1.6
A
B
C
m
k




## გაკვეთილის შედეგ მოსწავლე შეძლებს

- არათანაბარი მოძრაობის დახასიათებას
- საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ სიტუაციის განხილვა-ადვოკატირებას
- მოპოვებული ინფორმაციის გაფილტვრას და კრიტიკულ შეფასებას
- მონაცემების კლასიფიკაციას
- დიაგრამების განხილვას
- დასკვნის გაკეთებას

# კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმა




## კვლ.IX.4. პრობლემის გადაჭრის, კვლევის და თანამშრომლობის უნარების განვითარება არათანაბარი მოძრაობის დაკავშირება ყოველდღიურობასთან და ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადეკვატირება


B
C
A
12
8
4
0
m
n
k
distance (km)
0.4
0.8
1.2
1.6
time (hour)
მედიაწიგნიერების მიზანი
მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული ინფორმაციის განხილვა და ანალიზი

**ადვოკატირება**

- საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის; ქმედება, რომელიც მიმართულია გარკვეული სოციალური ჯგუფის ინტერესთა ან უფლებების დაცვისაკენ

**ზებრა**

- სავალი ნაწილის მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია ქვეითის გზაზე გადასასვლელად

**გაფილტვრა**

- არასასურველი ინფორმაციის მიღების შეზღუდვა

## ავარია

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა – გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.

## სანქცია

- ზომების ერთობლიობა, რომელიც გამოხატულია პოზიტიური (წახალისების) ან ნეგატიური (დასჯის) ფორმებით და ემსახურება საზოგადოებაში სოციალური ნორმების დაცვასა და მხარდაჭერას.

# ადვოკატირების დოკუმენტაცია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ შოთა მურღულიას

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის

ფიზიკის მასწავლებლის

ნანა სვანიძის

განცხადება

ბატონო შოთა! #14 საჯარო სკოლაში ვახორციელებთ ინტეგრირებულ პროექტს „ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება". ჩვენი პროექტის მიზანია მოქალაქეობრივი თვითშეგნების აძაღლება და ფიზიკის დაკავშირება ყოველდღიურობასთან. პროექტის ფარგლებში ჩემს მე-9 კლასელებს მოუწევთ საველე სამუშაოების ჩატარება. გთხოვთ დაგვრთოთ ნება და გვიმუშადგომლოთ ქალაქის პატრულის სამსახურთან და კეთილმოწყობის სამსახურთან გაგვიწიონ სათანადო კონსულტაცია და დახმარება.

პატივისცემით,

ნანა სვანიძე

საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

GEORGIA

Mayor of Kutaisi Municipality

N 01/11000
17/11/2015

11000-01-2-201511170935

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის
მასწავლებელს ქალბატონ ნანა სვანიძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ინტეგრირებული სასწავლო პროექტის „ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება" წარმატებით განხორციელების მიზნით ქ.ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის ტრანსპორტის განყოფილების სპეციალისტები გაგიწევენ სათანადო კონსულტაციებს საველე გამოცდების დაგეგმვისა და ჩატარების, ასევე გამოცდების შედეგების დამუშავებისა და ანალიზის პროცესში.

პატივისცემით
შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

3 Rustaveli ave. Kutaisi, 4600, Georgia
Tel/Fax (+995431) 245454; Fax: (+995431) 246062
www.Kutaisi.gov.ge; internet@Kutaisi.gov.ge

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N 3
ტელ/ფაქსი (0431) 245454; ფაქსი (0431) 246062

# ადვოკატირების დოკუმენტაცია

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსს,

პოლიციის პოლკოვნიკ ამირან ვერულაშვილს

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლის მე-9 კლასების ბაზაზე ვახორციელებთ პროექტს „ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება". პროექტის ფარგლებში გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქვეითებისა და მძღოლების დარღვევების სტატისტიკის შესახებ. პირველ რიგში გვაინტერესებს საშუალოდ დღეში რამდენი დარღვევა ფიქსირდება „ზებრასთან" როგორც მძღოლების მხრიდან, ასევე ქვეითების მიზეზით და მეორეც,როგორია ეს სტატისტიკა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, ანუ ავტომშენებლის ქუჩაზე ე.წ. ბეტონის გაჩერებიდან პოლიციის მესამე განყოფილებამდე.

გულისხმიერებისა და თანამშრომლობისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის

ფიზიკის მასწავლებელი,პროექტის ავტორი

21/12 2015 წ.

ნანა სვანიძე

02.12.15

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
იმერეთის მთავარი სამმართველო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT
IMERETI MAIN DIVISION

№ 2687206

„2" დეკემბერი 2015 წ.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის
მასწავლებელს **ნანა სვანიძეს**

**ქალბატონო ნანა,**

თქვენი 2015 წლის 2 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ, კონკრეტული ქუჩის და გზის მონაკვეთებზე არ აწარმოებს, ქვეითების ან მძღოლების მიერ საგზაო წესების დარღვევის, ასევე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკას.

**პატივისცემით,**

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
იმერეთის მთავარი სამმართველოს
საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **ანზორ ნაცვლიშვილი**

ქ. ქუთაისი, ონიანელაშვილის ქ. №10
№10 Onikhelashvili st., Qutaisi

ტელ./Tel.: (+ 995 431) 27 95 65
ფაქსი/Fax: (+995 32) 2 41 61 71

E-mail: chishura@mia.gov.ge

# კითხვარი




კითხვარი

1.რამდენად ხშირად სარგებლობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით?

2.კმაყოფილი ხართ თუ არა მძღოლების მომსახურებით?

3.გაკმაყოფილებთ თუ არა ტარიფები?

4.თქვენ თვითონ რამდენად ხშირად არღვევთ მოძრაობის წესებს?

5.როგორ უნდა გაუმჯობესდეს ტრანსპორტის მუშაობა ქალაქში?


12
4
0
distanc
B
C
A
n
k
1.6
მოქალაქეთა უმრავლესობა არაა კმაყოფილი სატრანსპორტო მომსახურებით.
საკუთარ დარღვევებზე მოქალაქეები ყურადღებას არ ამახვილებენ, ხოლო მძღოლების დარღვევებზე უფრო ხალისით საუბრობენ.
გამოვლინდა
ზოგ სატრანსპორტო საშუალებას 10-დან 20 წუთამდე სჭირდება ლოდინი გაჩერებაზე.
ტარიფები მისაღებია, რადგან ქუთაისში, საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, მგზავრობა უფრო იაფია.

# რეკომენდაციები

ავტოპარკის განახლება

ავტოქარხნის საავადმყოფოს ჩასახვევთან გზაჯვარედინზე არ მუშაობს (4-ჯერ გავედით საველე სამუშაოზე!) შუქნიშანი

მოსახლეობის უკეთ ინფორმირება მოძრაობის წესების დაცვის მიზნით

პატრულის თანამშრომლები „ზებრასთან“ მოძრაობის წესების დარღვევას არ აფიქსირებენ, რაც ქვეყნის ბიუჯეტზე უარყოფითად მოქმედებს

ისეთ დიდ მონაკვეთზე, როგორიცაა ავტომშენებლის ქუჩაზე , ე.წ. უნივერმაღიდან ცახელის ქუჩის ჩასახვევამდე, არსადაა „ზებრა“ და ეს საქმე მოსაწესრიგებელია

საჭიროა ვიდეოკონტროლის დაყენება 32-ე სკოლიდან მე-14 სკოლამდე ორ ადგილას მაინც

# კითხვები

რას ეწოდება მოძრაობა?

როგორი სახის მოძრაობები იცით?

რით განსხვავდება თანაბარი მოძრაობა არათანაბარი მოძრაობისგან? არსებობს კი თანაბარი მოძრაობა?

თანაბარაჩქარებული მოძრაობა რომელი ფიზიკური სიდიდეებით ხასიათდება?

როგორ გავზომოთ სიჩქარე და აჩქარება?

რა არის, უმეტეს შემთხვევაში, ავარიის მიზეზი?

# ფოტოები

# ფოტოები



# შსს-ს დიაგრამა



# შსს-ს დიაგრამა



# შსს-ს დიაგრამა

შინაგან საქმეთა სამინისტრო
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

**შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე საგზაო -სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაშავებულ /გარდაცვლილ მოქალაქეთა განაწილება სქესის მიხედვით - 2015 წელი (იანვარ - ივნისი)**







შენიშვნა: ხელ. დაშავებულია -3609 პირი., გარდაცვლილია - 200 პირი.

# კითხვები

რა იწვევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს ყველაზე ხშირად?

რომელი ასაკობრივი ჯგუფის ინფორმირებაა საჭირო ყველაზე მეტად და რატომ?

რომელი სქესის მქონე ადამიანების ინფორმირებაა ყველაზე მეტად საჭირო?

# შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმი | დიახ | არა |
|---|---|---|
| პრეზენტაციის ვიზუალური ნაწილი. | მოწესრიგებულია; ზუსტად შეესაბამება შინაარსის ყოველ კომპონენტს. | მოუწესრიგებელია; არ შეესაბამება შინაარსს. |
| დავალებასთან შესაბამისობა. | ყველა ინსტრუქციაა გათვალისწინებული, დავალება სრულყოფილად არის შესრულებული. | მხოლოდ ნაწილობრივ იცავს ინსტრუქციას. |

| კრიტერიუმი | დიახ | არა |
|---|---|---|
| შსს-ს დიაგრამების ანალიზი. | პასუხები შეესაბამება დავალებას. | კითხვები ნაწილობრივ შეესაბამება დავალებას. |
| არგუმენტირება. | შეუძლია დიაგრამის მიხედვით არგუმენტირებულად იმსჯელოს, უმეტეს შემთხვევაში რა არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზი. | ვერ ასახელებს არგუმენტებს. |

# გმადლობთ ყურადღებისათვის





ნანა სვანიძე

- ტელ: 577 67 56 25
- ელ ფოსტა: akotekla@gmail.com
- ბლოგი: phisicsnana.blogspot.com